წელიწადი 1-ლი ტელეფონი № 76. სამშაბათი 9 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
... განცხადება ღირს ერთი ორად ... გამომცხადებლისა. ... 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 24 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 24

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

მე-2 სერია მე-2 სერია

ორშაბათიდან, 8 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა

ავაზაკობის ქარიშხალში

ემილიო სანნომის მონაწ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან ექიმ მორელის საქმე პსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. კარენ ბრამსონისა ხუდოლეევისა და ვჰენერის მონაწ.
1. მოულოდნელი და საიდუმლო სიკვდილი 2. ცხოვრებამ ჩათრია! 3. სიყვარულის უცნობი ძალა. 4. ტანჯული გული. 5. თუ ცხოვრება გულს ემის, სიკვდილი უნდობელია.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 4 მაისიდან სენსაციური პროგრამა

სიკვდილის ცეკვა

ფსიხოლ. დრამა 5 ნაწილად ბ-ნ მოზჟუხინის მონაწ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან ბულალტერი ტორბინი სამდროვო დრამა 4 ნაწილად გარინოვისა ბარანცევიჩისა, რახმანოვისა და შოლცის მონაწ.
განდიდების მანიით შეპყრობილი კომ. 2 ნაწ. კოროტიშკინის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ოშაბათს, 8 და სამშაბათს 9 მაისს წარმოდგენილი იქნება საუცხოვო პიესა

1001 ღამე

დღეს განსაცვიფრებელი სანახაობა

იაპონიური ქარაკირები

იამადასანი საზოგადოების თანადასწრებით მუცელს გაუჭრის თავის ვაჟიშვილს. ამ დღეებში გაიმართება წინასწარი გასტროლი ცნობილი 10 წლის ქალის ლიუციასი.

## დღეს:

**წერილები:**
მედგარი: ალიონი.
რეს: რა მოხდა.
გ. გვაზავა: ეროვნებათა საბჭო.
ქართული პრესა.
ჯიხ. ომი.
მ. ბუაჩიძე. შეუგნებლობა.
eilseალმ. კომ. საყ.

**ცნობები:**
რევოლუციის ამბები, მსოფლიო ომი. ომი, კანცლერის სიტყვა, ეროვნული კითხვა ეროვნ. დემ. პარტია, ზავის გარშემო უკანასკნელი ამბები, მოწოდება, მოწერილი ამბები, ანგარიში, სია, ახალი ამბები.

ქ. ქუთაისის მცხოვრებთა ═══ საყურადღებოთ.

**ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი** ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამიერიდან მწვანე ბაზარშ-ყოფილ კურჩაბაშევის შენობაში იქნება გახსნილი ქალაქის საყასბო, სადაც როგორც მსხვილი ოთხფეხის აგრეთვე ხბოს ხორცი გაიყიდება დაწესებულ ნიხრის მიხედვით 50 კ. გირვანქა.

## ალიონი.

ფრიად სერიოზული გამოცდა გაუკეთა დიდმა რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში მობინადრე ერებს. ეროვნული საკითხი მთელი თვისი სიმძაფრით და მრავალ მნიშვნელობით ჯერ ომმა წამოაყენა მოკავშირე და ცენტრალ სახელმწიფოთა დეკლარაციების სახით. მისი გადაჭრა კი ომიანობით დაჩქარებულ რევოლუციის საქმეა. თვით რევოლუციის გამარჯვებით დაბოლავების ინტერესი მოითხოვს, რომ მთელი რუსეთის იმპერია არა მარტო ცენტრში, ამ ერთ პუნქტზე მხოლოდ, არამედ ყველა მის ნაწილებში, ყველა მის კუთხეებში დარაზმდეს რევოლუციის ინტერესების დასაცველათ. მით უფრო შედეგოვანი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ეს დარაზმვა, რაც უფრო მეტათ იქნება დაინტერესებული რევოლუციის გამარჯვებით არა მარტო ერთი რომელიმე ჯგუფი, არამედ მთელი ხალხი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხისა. აგეთ კუთხეებათ რუსეთი მართლაც დაიყო რევოლუციის მეორე დღესვე და ეს რევოლუციური კუთხეები ტერიტორიულად შემოიფარგლენ რუსეთში მობინადრე ცალკე ერებით. უკანასკნელი მთელი თავიანთი არსებობის ძალებით, მთელი თავიანთი შემადგენლობით დაეყუდნენ რევოლუციას და მის გამარჯვებაში ხედვენ თავიანთ საუკუნოებრივ მისწრაფებათა განხორციელბას. რევოლუციას დარაჯათ უდგას არა მარტო ერთი კლასი, არამედ მთელი ერები რუსეთის ყოველ კუთხეებში. თვით ციმბირიც კი სასოებით ეკიდება რევოლუციას. მალაკნებიც კი უერთებენ საერთო რევოლუციურ ფერხულს თავიანთ ავტონომიურ მოთხოვნილებათა ხმას. საინტერესო და ქართველისათვის ღირსშესანიშნავი ისაა, რომ რუსეთის **ყველა ერი** როგორც **ერთი მთლიანობა**, ისე გამოდის რევოლუციაში და ადგენს თავის მოთხოვნილებებს თვისი ავტონომიური წესწყობილების შესახებ. თუ რუსეთის ყველა ერი ესოდენ შეგნებულად და მომზადებით შეხვდა რევოლუციას, იგივე, საუბედუროდ, არ ითქმის ქართველობაზე. მიმართულება, რომელმაც თავისი მწყობრი ორგანიზაციული მუშაობით, შესძლო მთელი ჩვენი ხალხის ერთგვარი გაფხიზლება და ამოძრავება, ეს მიმართულება იმ თავიდგანვე დაადგა მრუდე გზას ქართველი ხალხის პოლიტიკურ უფლებების უარისყოფისას. ეს არა ეროვნული მიმართულება მით უფრო ხელის შემშლელი და საზიანო იყო ჩვენი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, რაც უფრო მეტი ძლიერება იძენდა ის ხალხის მასის გარეშე მოფარგვლით. ჩვენი ს.-დ. თუ სასარგებლოა ქართველი ხალხისათვის ზოგიერთ შემთხვევაში, მისი მთავარი და აუნაზღაურებელი შეცდომაა ეროვნულ ორიენტაციის სრული უქონლობა. ამ მხრივ ერთგვარი სხივი შეიტანა ს.-დ. პარტიულ აზროვნებაში ზოგიერთმა პირებმა. პირველი და მთავარი დებულება იყო ამ რევოლუციის მსვლელობაში ივ. გომართელის გამოსვლა როგორც საქართველოს სოც. დემ. პარტიის წარმომადგენლისა, და მასთან ერთად ავტონომიის პრინციპის აღიარება. ეროვნული მიმართულება მედგრათ შეიჭრა ს. დ. პარტიაში, რომელსაც იდეურად უკვე გამოეყო ახალი ჯგუფი „ალიონისა“. ეს ორი მოვლენა ცხადი მეტყველია მისი, რომ ეროვნული მიმდინარეობა მძლავრად ფეხს იკიდებს ჩვენს ხალხში და თვით ს. დ. პ-შიც. სავალალო ისაა მხოლოდ, რომ ამ პარტიის ერთი მცირე ნაწილი გაუგებარ მიზეზებისა გამო არ უერთდება სალათ მოაზროვნე პარტიულ ამხანაგებს, რომელნიც სწორედ აფასებენ ეხლანდელ რევოლუციას, როგორც ეროვნებათა გამათავისუფლებელ მოძრაობას. „ან ეხლა, ან არასოდეს“ — ეს სიტყვები „ალიონისა“ მოწმობენ, რომ ეს გაზეთი გარკვეულად ითვალისწინებს რევოლუციის შინაარსს და მის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში. თუ რაოდენათაა მტკიცე „ალიონი“ თვისი ეროვნულ ორიენტაციაში ის გარემოებაც გვიმტკიცებს, რომ უკანასკნელ ნომერში. აშფოთებით აღნიშნულია ქუთაისში მომხდარი რბევა ავტონომისტთა (ფედერალისტთა) წინაამდეგ და ზომებიცაა ნაჩვენები აგეთ კონტრ-რევოლუციურ გამოსვლების თავიდან ასაცილებლად. ინტერპარტიულ წარმომადგენელთა კომისია მართლაც უფრო დაუახლოვებს ერთი პარტიას მეორესა, მეტი კონტაქტის საშუალებით გზა გაიხსნება პარტიათა ერთი მეორის გაგებასა და პატივის ცემასა. ეს დაახლოვება კი მიუცილებელი საჭიროებაა, როგორც რევოლუციისათვის, ისე ჩვენი ეროვნული ინტერესების მთლიანად დაცვისათვის. ადგილობრივ პარტიათა საქმეც ეს აზრს რეალობად აქციონ. ადგილობრივი ს. დ. მოვალეობაა თვისი პარტიული ამხანაგებისა კეთილი განზრახვა საქმით განახორციელონ ჩვენი ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლა ვერ იქნება მძაფრი. ჩვენ მანამ ვერ ამოუდგებით გვერდში რუსეთის ერებს სანამ ეროვნული მიმართულება საბოლოოდ არ გაიმარჯვებს, ფეხს არ მოიკიდებს ყველა პარტიულ და ფრაქციულ ჯგუფების აზროვნებაში. ეროვნულ უფლებათა დაცვა მოითხოვს ერის მთლიანობით ბრძოლის ასპარეზზე წარდგომას, ჩვენში კი ეს მთლიანობა ანტიეროვნულ მიმართულებით საბედისწეროდ გაიბზარა. ჯერ ჩვენში არ გათენებულა, მხოლოთ პოლიტიკური ალიონია. ეროვნულ მიმართულების წმიდა მოვალეობაა შეკუმშდეს, შეჯგუფდეს და სძლიოს ყოველგვარი დაბრკოლებანი, რადგან ჩვენი ეროვნული ხსნა უნდა მოხდეს ან

**„დღეს ან არასოდეს“.**

ამას ღაღადებს ქართველი ერის ინტერესი, ამას მოითხოვს თვით რევოლუციის მსვლელობაც.

**მედგარი.**

## რა მოხდა?

რუსეთი ასცდა მწარე განსაცდელს. ანარქიის აჩრდილს გადურჩა ნორჩი თავისუფლება და რევოლუცია. 19. აპრილს მერე წარმოშობილი კრიზისი, ზომიერ ლიბერალ მთავრობის და მუშათა საბჭოს შორის ჩამოვარდნილი საშიში უთანხმოება დღეს-დღეობით მორიგება-შეთანხმებით დამთავრდა. შესდგა მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომელშიც დემოკრატიულმა მიმდინარეობამ შეიყვანა თავისი 5 უკეთესი წარმომადგენელი. სამინისტროს ახალი შემადგენლობა ასეთია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ და შინაგან საქმეთა მინისტრად რჩება თ. დი ლვოვი, გარეშე საქმეთა ტერეშჩენკო, სავაჭ.-სამრეწ. კონოვალოვი, სახელმწიფოს კონტროლიორი—გოდნევი, ობერ-პროკურორი—ლვოვი, შრომის მინისტრი—სკობელევი, იუსტიციის—პერევერზევი, სამიწადმოქმედო—ჩერნოვი, სასურსათო—პეშეხონოვი, სამხედრო-საზღვაო—კერენსკი, ფინანსებისა—შინგარევი, ფოსტა-ტელეგრაფისა წერეთელი, სახოგადო მინისტრი—ნეკრასოვი, სახალხო განათლებისა—მანუილოვი.

ამ სახით გვევლინება დღევანდელ ძნელ მდგომარეობიდან გამომყვანად და სასურველად აღსარებული კოალიციური სამინისტრო.

კადეტურ მიმართულების ლიდერმა პ. მილიუკოვმა უარი განაცხადა სახალხო განათლების მინისტრობაზე. დეპეშის გადმოცემით, როდესაც პ. მილიუკოვს განათლების მინისტრის პორთფელი შეაძლიეს, მან სთქვა: „ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად მიმაჩნია აწინდელი საგარეო პოლიტიკა და ამიტომ ვერ დავრჩები დროებითი მთავრობის წევრადო“, ამ რიგად დღეს სახელმწიფოს მმართველობა პირველად იკისრეს მემარცხენე ელემენტებმა. ესენი ხალხის ერთგულ და რჩეულ წარმომადგენლებად ითვლებიან, თქმა არ უნდა ფართე მასა მათ ენდობა. აქ საყურადღებო ის არის, რამდენად შესძლებენ ხსენებული პირები ხალხის სურვილების სრულ განხორციელებას და ყოველ მხრივ დაკმაყოფილებას. რომ აწინდელმა სამინისტრომ სახელმწიფოს გამგებლობაში აუცილებელი ნიჭი და ენერგია ვერ გამოიჩინოს, რომ ხალხის ნდობა არ დაიმსახუროს ესსაზარ ანარქიის წინამორბედი იქნება.

შეიძლება ამას გრძნობდენ კადეტები, როდესაც მმართველობის კოლეგიიდან გამოდიოდენ. ხალხი გრძნობა გახსნილია, მის გონებაში დღეს პირველად აღმოხდა გაბედული სურვილი იგი ბევრ რასმეს მოითხოვს და ელის რევოლუციისგან.

თქმა არ უნდა, ასეთ გარდამავალ მომენტში დიდათ სამძიმოა ხალხის წინაშე პასუხის-მგებლობა. კადეტთა პარტიამ სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზი მიატოვა და საფიქრელია, განახლებულ სამინისტრო კაბინეტს ოპოზიციაში ჩაუდგეს, და მის მიმართ სასტიკი კრიტიკა აწარმოოს.

მომავლის წინდაწინვე განსჭვრეტა ძნელი საქმეა, მაგრამ ეს კი ცხადია რევოლუცია ისეთ კრიზისს, რომელიც მან ამ დღეებში განიცადა კიდევ მრავალს მოელის. ეს აუცილებელი თვისება და პირობაა ყოველი რევოლუციისა. რევოლუციის უმწვერვალეს განვითარების პროფესიის მიწურულში განცდილი კრიზისები წარმოშობენ ერთ საბოლოო მმართველობის ბჭეს და შექმნიან დიდი ხნის ეპოქას.

**რეს.**

## ქართული პრესა.

გაზეთ „შრომის“ გუშინდელი ნომერი სრულიად სამართლიანადა ჰკმობს ამას წინედ ქუთაისში მომხდარ რბევათა და უწესეობათ და სწერს:

„ყოველი მოქალაქე, მით უმეტეს თავისუფალი და შეგნებული მოქალაქე, ვალდებულია უაღრესი პატივისცემით მოეპყროს სხვის აზრს, სხვის მიმართულებას; ვისაც ეს არ ესმის, ის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ კათაკმეველია და ტყვილად არცხვენს თავისუფალი მოქალაქის საპატიო სახელს. დარბევა და მუშტი-კრივი სხვა მიმართულებათა და აზრების მიმდევრებთან ბრძოლაში ბარბაროსობაა; გვწამს, ეგეთი ჩვენგანი შეიგნებს, რომ სხვისი პიროვნების გაბიაბურება და შეგინება. სხვისი წმინდათა წმიდის—შავი ლაქა და შეგინებაა ბრწყინვალე რევოლუციისა.

ამავე საგანს ეხება თბილისის რუსული გაზეთი „ბორბა“, რომელიც, ჰკიცხავს რა ყოველ გვარ შავრაზმულ გამოსვლებს, სწერს:

„განსაკუთრებული ყურადღება ჯარისკაცისათვის იმის განმარტებას უნდა მიექცეს რომ ავტონომია საკუთარ ქართულ სახელმწიფოს არ ნიშნავს, რომ ავტონომია არავითარ საშიშროებას შეიცავს; რომ ის მხოლოდ ფართო თვითმართველობაა და არა გამოყოფილი სახელმწიფო. ერთის სიტყვით დემოკრატიამ თვისი გავლენის მთელი ძალა უნდა მოიხმაროს, რომ ჯარში იდუმალ შავრაზმულ ქადაგებას საქენჯელი გამოგლიჯოს.“

## ეროვნებათა საბჭო და საადმინისტრაციო სამართალი.

**საეროვნო საბჭო.**

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც მოწვეულ იქმნა ეს „ეროვნებათა საბჭო“. ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, თავის მოქმედების დაწყებიდანვე აშკარად დაინახა, რომ ამიერ-კავკასიაში თითქმის არც კი მოიპოება ისეთი საკითხი, რომელსაც ეროვნული ხასიათი არა ჰქონდეს.

ამიერ-კავკასია ბჭრელებულია სხვადასხვა ერებით. ყველას აქვს თავისი ენა, კულტურა, ზნე-ჩვეულება, ისტორიული წარსული და ეკონომიური განწყობილება. ზოგს—მეტად, ზოგს—ნაკლებად. მაგრამ ყველას აშკარად ეტყობა თავისებურობა და ამიტომ ერთი და იგივე ზომა და ღონისძიება ყველას ერთნაირად ვერ დააკმაყოფილებს და ყველგან ერთნაირად მისაღები არ არის. ამიტომ თავიდანვე აუცილებელი გახდა, დროებით მაინც, სანამ საქმე მოეწყობოდეს, ეროვნებათა საბჭოს მოწვევა. საქმე საჩქარო იყო, საერთო არჩევნების მოხდენა კი მოუხერხებელი. ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მიჰმართა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს და სთხოვა მათ ამ საბჭოში თავ-თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნათ. ამ ნაირად საბჭოში წარმომადგენელნი ჰყავს სამ-უმთავრესს ეროვნებას—ქართველს, სომეხს და თათარს. თითეულს ჰყავს შვიდ-შვიდი წარმომადგენელი. სულ 21 წევრია.

სხვა და სხვა აღძრულ კითხვებმა აშკარად დაგვანახვა თუ რამდენად საჭიროა ასეთი საბჭო. დაგვანახვა ისიც, თუ რამდენად არ არის სასურველი ამისთანა საერთო საბჭოში გადატანა და განხილვა ისეთი საქმეებისა რომლებიც არ შეეხებიან მთელს ამიერ-კავკასიას. ასეთი იყო, მაგალითად, საეკლესიო საკითხი.

როცა კითხვა შეეხებოდა ხოლმე საქართველოს ეკლესიას (ავტოკეფალიას), სომხები და თათრები თითქმის უხერხულად ჰგრძნობდნენ თავს და გადაჭრით ვერას ამბობდნენ ხოლმე; პირ-იქით ქართველი წარმომადგენლები თითქმის ჩუმად იყვნენ, როცა საკითხი შეეხებოდა სომხის ეკლესიის და სხვა რაიმე ადგილობრივ საჭიროებას, სადაც საქართველო არ იყო პირდაპირ დაინტერესებული.

ამ მიზეზის გამო ზოგიერთმა ქართველმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოწვეული საბჭო უნდა გაიყოს სამ სექციად. საქართველო უფლებრივად უნდა გამოყოფილ იქმნას და მისთვის დაარსდეს ცალკე საბჭო. ამ საბჭოს უნდა მიენდოს განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ საქართველოს შეეხებიან და საზოგადოდ დროებითი მოწესრიგება ადგილობრივი ცხოვრებისა. ასეთივე საბჭო უნდა ჰქონდეთ სომხებს და თათრებსაო. ასეთი იყო პრინციპიალური განცხადება,

მაგრამ ეს აზრი შეწყნარებულ არ იქმნა და დარჩა, როგორც სადეკლარაციო განცხადება.

ამ შინაგანმა წინააღმდეგობამ თავი კიდევ ბევრჯერ იჩინა. სამჯოს მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა ადმინისტრატიული სამართლის ადგილობრივი მოწყობა. ეს საკითხი მეტად ძნელი აღმოჩნდა და მან შეიწირა თითქმის მთლიანად დღემდე გაწეული შრომა. ვინ უნდა უდგეს მაზრას და გუბერნიას სათავეში?—ასე იყო კითხვა დაყენებული და აქ იჩინა თავი ძირითადმა უთანხმოებამ. ჯერ წამოაყენეს პრინციპი კოლლეგიური და ეროვნული. თათრებს და სომხებსაო, ამბობდნენ, ერთმანეთის დიდი ნდობა არა აქვთო, ერთად კი სცხოვრობენ არეულად, ერთ და იმავე გუბერნიაში, ერთ და იმავე მაზრაშიო. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდათ, რომ ადმინისტრატიულ ერთეულის სათავეში ყოფილიყო წარმომადგენელი ორივე ეროვნებისა სომეხი და თათარი. ამავე დროს ანგარიშს უწევდნენ რუსებსაც და საჭიროდ დაინახეს დაემატებინათ მესამე წარმომადგენელიც—რუსი. ამნაირად ჩვენ უნდა გვყოლოდა ყველგან სამ-სამი მაზრის უფროსი და სამ-სამი გუბერნატორი ყოველ გუბერნიაში.

ამისთანა ადმინისტრატიულმა სქემამ წინააღმდეგობა გამოიწვია ქართველ წარმომადგენლებისა. იგინი ამბობდნენ, რომ საქართველოს გუბერნიები და ოლქები არ წარმოადგენენ ისე აჭრელებულ ქვეყანას. როგორც განჯისა ან ერევნის გუბერნიააო. საქართველოში 80 პროც.—90 პროც. ქართველობაა; აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია, სომხები წარმოადგენენ უმცირესობას, მაგრამ არავის ახსოვს, რომ ეროვნული განხეთქილება და შუღლი ყოფილიყოსო. ამიტომ საქართველოს გუბერნიებისთვის სულაც არ არის საჭირო სამი გუბერნატორი, ან მაზრებისთვის სამ-სამი მაზრის უფროსიო. საქართველოს ტერიტორია უნდა გამოიყოს ამიერ კავკასიიდან და ადმინისტრატიული სამართალი იქ მოეწყოს ისე, როგორც ეს უფრო შეეფერება ადგილობრივ საჭიროებასო. ამისთვის საკმარისია სამაგალითოდ. დავისახოთ ერობა: გუბერნიაში საერობო კრების მიერ არჩეული პირი იქნება გუბერნატორი ან გუბერნიის კომისარიო.

დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა კომპრომისი: გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარე—კომისარს და ორს მის თანაშემწეს. ამნაირად გუბერნიის სათავეში ერთი პირია (კომისარი) და მას ეყოლება ორი თანაშემწე, როგორც ორი წევრი საგუბერნიო კომისარიატისა.

ამ პრინციპზეა აგებული დანარჩენი ადმინისტრატიული ნაწილებიც: ყველგან არის აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობა, კომისარი და კომისარიატი, როგორც მისი აღმასრულებელი ორგანო.

სოფლებში აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის ხმის მიცემით; უნდა მოეწყოს, იმავე არჩევნებით, სარაიონო (საუბნო) აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება სოფლის დაბა ქალაქების წარმომადგენლებისაგან და გუბერნიის—ყველა მაზრების და საგუბერნიო ქალაქის წარმომადგენლებისაგან.

ასეთია მოკლედ მიღებული დებულება. ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგება იმ კომიტეტებს ევალება, იმათ ხელშია საერობო სამართალი. კომისარებს ყველგან ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ ყოველი კომისარი თავის მოქმედებაში ემორჩილება უფროს კომისარს: სოფლის კომისარი—სარაიონოს, რაიონის—მაზრისას და მაზრის კომისარი გუბერნიის კომისარს. ამ კომისარებს აქვთ ერთის მხრივ ადმინისტრატიული ძალა, მეორე მხრივ—საერობო სამართალი.

ამნაირად შეცვლილია თვით საფუძველი ადმინისტრატიულ ძალის: ეს საფუძველი ეხლა ბიუროკრატიული თვითნებობა კი არ არის, არამედ ხალხის სურვილია და საარჩევნო პრინციპი.

**გიორგი გვაზავა.**

(საქ)

---

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**პეტროგრადი**, 4 მაისი. მარინეს სასახლეში შესდგა შეერთებული სხდომა დროებითი მთავრობისა, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა, მუშათა და ჯარისკაცთა დროებითი საბჭოს წარმომადგენლებისა და ფრონტების მთავარსარდლებისა. უმაღლეს სამხედრო მმართველობის საბჭოს წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენებანი ფრონტზე საქმეთა ვითარების შესახებ. ფრონტის დელეგატებმა წარმოადგინეს თავისი მოსაზრებანი ჯარის ნაწილების საჩქარო რეორგანიზაციისათვის საჭირო ზომების შესახებ. მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ჯარისთვის სურსათის მიწოდების საქმე თანდათან უმჯობესდება. მილიუკოვი არ დასთანხმდა სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობის მიღებას, რადგან საგარეო პოლიტიკას, მისი აზრი, სახიფათო გზით უპირებენ წარმოებას, რის გამო ის დროებით მთავრობის შემადგენლობაში ვერ შევა.

ახალი სამინისტრო

**პეტროგრადი**, 4 მაისი. დღეს მოხდა შეთანხმება დროებითს მთავრობასა და დემოკრატიულ პარტიათა შორის სამინისტრო პორტფელების განაწილების შესახებ. მინისტრ-თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი თავ. ლვოვი, საგარეო საქმეთა ტერეშჩენკო, ვაჭრობა-მრეწველობისა—კონოვალოვი, სახელმწიფოს კონტროლიორი—გოდნევი, ობერპროკურორი—ლვოვი, შრომის მინისტრი—სკობელევი, იუსტიციის-პერევერზევი, მიწადმოქმედების—ჩერნოვი, სასურსათო—პეშეხონოვი, სამხედრო და საზღვაო—კერენსკი, ფინანსებისა—შინგარევი, ფოსტა—ტელეგრაფისა—წერეთელი, გზათა მინისტრი—ნეკრასოვი' სახალხო განათლებისა—მანუილოვი. გარდა ამისა წამოყენებულია კანდიდატურა გრიმისა დამფუძნებელ კრების საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე და თავ. შახოვსკისა სოციალურ უზრუნველ—ყოფის მინისტრის თანამდებობაზე.

როგორ იმედს ამყარებენ კერენსკიზე?

დროებითს მთავრობას და სხვა და სხვა აპარეხის ჯარის სარდლებს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ თათბირი ჰქონდათ. სარდლები აცხადებდნენ, რომ კოალიციური სამინისტრო უკეთესი ზომაა. მას შეუძლიან ჯარში აღადგინოს აუცილებელი დისციპლინა და ჯარის სულიერი განწყობილებაო. სარდლები დიდ იმედებს ამყარებენ ახალ სამხედრო საზღვაო მინისტრ კერენსკიზე, რადგან მას ხალხი და ჯარი დიდათ ენდობა და მას ყველაფრის გაკეთება შეუძლიანო.

როგორ შეხვდნენ კოალიციურ სამინისტროს?

პეტროგრადის თითქმის ყველა წრეები ერთგვარის კმაყოფილებით შეხვდნენ ახალ სამინისტრო კაბინეტს. კომფლიქტი ყველას დამთავრებულად მიაჩნია.

გაფიცვის წინააღმდეგ.

ქ. პეტროგრადში მოსალოდნელი იყო ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა. ეს ამბავი როდესაც ქ. კიევის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა შეიტყვეს, საჩქაროდ არაჩვეულებრივი კრება მოიწვიეს და დაადგინეს, ზიზღი გამოეცხადოს პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ, რომელნიც ასეთ კრიტიკულ მომენტში საზოგადოებრივ დარგში მუშაობას აჩერებენ და ამით სამშობლოს ღალატობენ. თუ პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა თავისი არ დაიშალეს და გაფიცვა გამოაცხადეს, იმ შემთხვევისთვის კიევის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი პეტროგრადის ფოსტა-ტელეგრაფის საქმეებში სამუშაოდ თავისი ამხანაგები, გაგზავნონ. კიევის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები მოწოდებით მიმართავენ სხვადასხვა ქალაქების ამხანაგებს, რომ მათ ასეთ განსაკუთრებულ დროში მუშაობა არ შესწყვიტონ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

---

## ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვა რეიხსტაგში.

**ზავის შესახებ.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 2. ეს არის ეხლა დაადგინეთ ჩვენი საომარ მიზნების შესახებ განმარტება მომთხოვოთო. ასეთი განმარტება ეხლა ჩვენი ქვეყნის ინტერესს არ შეეგუება. ამიტომ თქვენ შეკითხვას არ მივიღებ (ცენტრის დასტური) 1915 წ. ზამთრიდან დაჟინებით ითხოვთ, ჩვენი საომარი მიზნები განგიმარტოთ. ამაში რომ ჩემთვის ძალა დაგეტანებინათ, ხმები გავრცელდა, ვითომც მე ცალკე პარტიების აზრისა ვიყო. ამას გადაჭრით უარსა ვყოფ. მთავრობა მონაწილეობას ვერ მიიღებს საომარ მიზანთა სახალხოდ მსჯელობაში. გაბრთხილებთ, რომ თუ მთავრობა სდუმს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ ამ სიჩუმიდან მისი პოზიციის შესახებ რამე უნდა შექმნათ. რის თქმაც შეიძლებოდა, მე აქ გულახდილად გითხარით, მეტი არა შემიძლიან რა. ჩემი ნათქვამი საკმაოდ ცხადი იყო, და ამიტომ შეუძლებელია, რომ მთავრობის პროგრამა და პარტიების პროგრამა ერთმანეთს დაუკავშირდეს. ამას კი ზოგი უკვე ეცადა. იმავე ძირითად საფუძვლებზე ვდგევარ ეხლაც. ეს საფუძვლები აღნიშნული იყო სამშვიდობო წინადადებაში, რომელიც 1916 წლის დეკემბრის 12—1 (ახალი სტილით) გამოვაქვეყნეთ ის აზრი, ვითომც ზავის საქმეში ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი ერთმანეთს ვერ ვეთანხმებოდეთ ზღაპარია (დასტური ცენტრში). მესმის ზავის პირობების შემუშავებაში მონაწილეობის სურვილი ხალხისა, მაგრამ ჩემთვის ამ საკითხში ერთი რამ უნდა იყოს სახელმძღვანელო: ომი მალე და სასურველად დამთავრდეს (დეპუტატები დასტურს აძლევენ). საერთო მდგომარეობა ძალას მატანს თავ დაჭერილად მოვიქცე და შეიდემანი და რეზიკი ჩემს გზას ვერ ამაცდენენ. ჩემს გზას შეიდემანის ის სიტყვა ვერ ამაცდენს, სიტყვა რევოლუციის შესაძლებლობისა, რომელიც შეიდემანმა ეხლა წამოისროლა, ეხლა, როდესაც მდინარე ენზე, არრასთან ბუკ ნალარის ხმა გაისმის (მხურვალე ტაში). გერმანეთის ხალხი ჩემთან ერთად ამ სიტყვას არ დაუჯერებს. ვერც რეზიკის ნათქვამი, ვითომც მე სოციალ-დემოკრატების ხელში ვიყო, ჩემს გზას ვერ ამაცდენს. მე არც მემარჯვენე და არც მემარცხენე პარტიებს არ დავემორჩილები და მიხარის, რომ ამის თქმა შემიძლიან (ძლიერი ტაში). თუ ვისმეს დავემორჩილები, მხოლოდ ჩემს ხალხს. მე მისდა სამსახურად ვარ მოწვეული. იგი იბრძვის ერის არსებობისათვის. იგი ენდობა იმპერატორსდა იმპერატორი კიდევ მას. ჩემს თავდაჭერილობას კი ხალხიც მიხვდება და რეიხსტაგის უმრავლესობაც. უკვე ერთი თვეა, რაც ჩვენს დასავლეთ ასპარეზზე ჩვენი ჯარი მტრის იერიშებს მედგრად უძლებს და სიკვდილისა არ ეშინია (მოწონების ხმები).

საფრანგეთი და ინგლისი კი ზავისათვის სრულებით არა სცდილობენ. არც დაპყრობით პოლიტიკაზე და ჩვენს ეკონომიურ განადგურებაზე იღებენ ხელს. რომელმა მთავრობამ ამოიღო შარშან ზამთარში ხმა შერიგებაზე. განა ლონდონისა და პარიზის მთავრობებმა? განა ლონდონიდან არ გვესმის ხმა: ომის მიზნად დღესაც ის გვაქვს, რაც ომის დასაწყისში გვქონდაო? განა ამისთანა სახიფათო მტერს შევირიგებთ, რომ ჩვენ მოთხოვნილებაზე ხელი ავიღოთ? საქმე კი მხოლოდ ამაშია. განა შემიძლიან მტერს ვუთხრა: მტერო, რაც უნდა მოხდეს, ხელს არ გახლებ და შენ კი უშიშრად შეგიძლიან შენი ბედი ეძიო-მეთქი!? განა ისე უნდა მოვიქცე, რომ საზავო პირობათა მხოლოდ ერთი ნაწილი ერთ ფორმულით გამოვსახო და დანარჩენი კი უკუ-ვაგდო, უარ ვყო ჩვენ შვილთა სისხლით მოპოვებული უპირატესობანი?! არა, მაზე ხელს ვიღებ (მოწონების ხმები). ასეთი რამ ჩვენი ხალხის გმირობის უმადურობა იქნება. ასეთი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მავნებელია და მამულის მომავალზე ხელის აღებაა. ან ხომ არა გგონიათ, რომ დაპყრობის პროგრამა უნდა ვიღიარო? არა, ამის უარსაც ვამბობ. არა დაპყრობისათვის დავიწყეთ ომი და თითქმის მთელს ქვეყანას ვეომით, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი არსებობა უზრუნველ ვყოთ და ჩვენს ხალხს მომავალში მშვიდობა მოუპოვოთ. ვერც დაპყრობის პროგრამა და ვერც მისი უარყოფა ჩვენ გამარჯვებას და ომის გათავებას ვერ მოგვცემს. ამისთანა გზებს რომ დავადგე, ხალხის მტერ ბატონებს შეძლებას მივცემ, თავიანთი ხალხი მოატყუონ და ომი დაუსრულებლივ აწარმოვონ, ასეთი რამ უმადურობა იქნებოდა იმათთვის, ვინც ეხლა არრასთან სისხლისა ჰღვრის. ხოლო ეხლა რუსეთს ეტყობა, მას არა ჰსურს ძალადობითი დაპყრობა, მაგრამ რა ვიცი, მოახერხებს იგი გავლენა იქონიოს თავის მოკავშირეებზე? ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისი მოკავშირეებთან ერთად სცდილობს რუსეთი ისევ ჩაითრიოს და მის სურვილს, ომის მალე გათავებაზე, ხელი შეუშალოს. მაგრამ, თუ რუსეთს მართლა ჰსურს დაპყრობაზე ხელის აღება, მაშინ ჩვენ იმისთანა მოთხოვნილებებს ვერ წარუდგენთ. რასაც მისი განვითარების შეფერხება შეუძლიან, რაც თავისუფლებისადმი მისწრაფებას არ შეეფერება და რაც კეთილ მეზობლობას ხელს შეუშლის. ვიცი, რომ შეგვიძლიან ერთმანეთს ისე მივუხვდეთ, რომ ერთმანეთით ნაწყენნი არ ვიყვნეთ. ჩვენი მდგომარეობა ბრძოლის ველზე ისეთია, როგორიც არას დროს არა ყოფილა. ჩვენი დასავლეთის მტრები, დიდი დანაკლისის მიუხედავად, ვერას გამხდარან. ჩვენი წყალქვეშები თანდათან უფრო უკეთესად ჰმოქმედებენ (მოწონების ხმები). მგონია, რომ ნეიტრალი სახელმწიფოებიც მიხვდნენ, რომ მათ ინტერესებს იმდენად ვუფრთხილდებით, რამდენადაც კი ეს ჩვენს ინტერესებს შეეფერება. დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ომის სასურველ დასასრულს ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით იმ დროს, როცა მტერს ჩვენს საზავო პირობებზე დავუწყებთ მოლაპარაკებას. ამ პირობებში კი ჩემსა და ომის ხელმძღვანელთა შორის სრული თანახმობაა (მოწონების ხმები). ჩვენ ისეთ ზავს ვეძიებთ, რომელიც შეძლებას მოგვცემს იმის აღშენება დავიწყოთ, რაც ომმა დაგვინგრია, რათა დანთხეულ სისხლზე აღსდგეს სახელმწიფო და ხალხი ძლიერი, დამოუკიდებელი და უშიშარი. ეს იქნება მშვიდობიანობის და ნაყოფიერ მუშაობის საფუძველი (ხანგრძლივი, ძლიერი ტაში).

---

## ო მ ი.

გაზაფხულის კომპანიის დღიურში ისევ კავკასიის ბრძოლის ასპარეზი იქცევს მთავარ ყურადღებას. ოსმალთა მოქმედება მეტად ინტენსიური აღმოჩნდა. ოსმალთა მთავარ შემოტევის ადგილი არ ურჩევიათ, ამას ისინი სტრატეგიული მოსაზრებით სჩადიან. ამჟამად ოსმალები პარტიზანულ ხასიათის ომს აწარმოებენ. როტებით და პატარ-პატარა რაზმებით ებრძვიან ბატალიონებს და პოლკებს. სპარსეთში ქურთთა რაზმებმა საქმე გააჭირეს. ისინი მოსვენებას არ აძლევენ ასრიშირინის მიდამოში მდგომ რუსის ჯარს. 5 მაისის მთავარ ბანაკის დეპეშა იტყობინება, რომ ოსმალებს ოლნოტის მიმართულებითაც დაუწყიათ იერიშები, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში იმყოფება სპარსეთში მომქმედი რუსის ჯარი.

ჯარი სურსათს ვერ შოულობს, და ამავ დროს ოსმალნი სცდილობენ რუსის ჯარის წინააღმდეგ კვლავ აამხედრონ მოხეტიალე თებიბი რაც შეეხება ქურთებს, ამ ბოლო ხანის სინი მეტად თავდადებულად იბრძვიან. ამ კომპანიაში კავკასიის ასპარეზზე ერთი ბრძოლა არ მომხდარა ისე რომ მათ მონაწილეობა არ მოეღით. ალბად ოსმალები რაღაცას დიდს დაპირდენ ქურთებს.

მთავარ ბანაკის ცნობით გერმანელები რუსეთის დასავლეთის ასპარეზზე ჯარებს ხსნიან და ინგლის-საფრანგეთ იტალიის ასპარეზზე გადაყავთ. ეს ცნობა მეტად საყურადღებოა. თვე ნახევარზე მეტია ლაპარაკობენ, რომ გერმანელები დიდ ოპერაციებს იწყებენ რუსეთის ასპარეზით და აქეთ ახდენენ მთავარ სამხედრო ძალების გადმოჯგუფებასო. ახლა კი ირწმუნებიან, რომ გერმანელები მთავარ ყურადღებას საფრანგეთ და ინგლის-იტალეთის ბრძოლის პირს აქვთსო. დღევანდელ ომში ასე ჩქარ-ჩქარა საომარ გეგმის გამოცვალა ტეხნიკურ მოსაზრებით შეუძლებელია ამიტომ უფრო საფიქრელია, რომ გერმანელები მაშინ, როცა ცნობები მოგვდიოდა, რუსეთის ასპარეზის წინააღადეგ დიდძალ ჯარს გზავნიანო, თვალ ასახვევ დემონსტრაციას აწარმოებენდ და შეიძლება ასევე იქცევიან დღეს, როდესაც ქვეყანას არწმუნებენ, რუსეთის ასპარეზზე ჯარებს ვხსნითო.

**ჯიხ.**

---

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 5 მაისი ოფიციალი. დღე და ღამემ წყნარად ჩაიარა. მოპირდაპირემ ლაფეს წისქვილზე ახალი იერიშები მოიტანა, მაგრამ წინ არ წამოწეულა დაიკავა მხოლოდ გუშინ დაკარგული პოზიციები. ლაკუნთსთან შეტაკების დროს გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ბრძოლის ველზე მათ მიატოვეს დიდძალი დაჭრილ-დახოცილები, ტყვეები და სამხედრო სურსათი. ბრეინის-ჩრთილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე შეეცადა ჩვენ თხრილებთან მოჭრას, მაგრამ გავფანტეთ. შამპანში ცალკე მოდარაჯე რაზმების შეტაკება. დანარჩენ ადგილებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი.** 5 მაისი. ოფიციალი. ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ გრძელდებოდა. საფრანგეთში ჩვენ წინანდელი მდგომარეობა აღვადგინეთ. ბელეკურის მიდამოში მოპირდაპირე დავამარცხეთ ტყვეები ვიგდეთ ხელთ. ჰინდენბურგის ხაზზე სკარპის გაყოლებით უმძაფრესი ბრძოლები ხდებოდა.

**რომი,** 5 მაისი. პლავის და ცუკოს-კოცონებზე ჩვენ წინ წავიწიეთ და წინადღით დაკავგული მაღლობები დავიკავეთ. დასოფაიტის და კარსოს მიმართულებით ავსტრიელთა რაზმი გავფანტეთ.

**რომი,** 5 მაისი (საღამოს ცნობა) გორიცის ხაზზე მტერს მდ. იზონცოზე გადასვლა ჩაუშალეთ. ლოგთან სოფელი ბოდროსი დავიკავეთ.

**რომი.** 6 მაისი. ტიველის მიდამოში ბრძოლის დროს ჩვენ 3. 375 კაცი წამოვიყვანეთ, მათშორის 98 ოფიცერი.

---

## ახალი ამბავი.

**თავად-აზნაურთა წარმომადგენლები საქართ. ავტოკეფ. ეკლესიის დრ. გამგეობაში.** გუშინ გუბერნიის წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მიიღო თბილისის გუბერნიის წინამძღოლის თავ. აფხაზისაგან ოფიციალური წერილი, რომლითაც სთხოვს საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დროებითი მმართველობის დადგენილების თანახმად, დაინიშნოს თავადაზნაურთაგან ორი წარმომადგენელი, ერთი თბილისიდან და მეორე ქუთაისიდან, საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დროებითი მმართველობის შემადგენლობის შესავსებად. პასუხი თავ. ნიჟარაძემ უკვე გაუგზავნა და შეუთვალა, რომ წარმომადგენლად იქნება დანიშნული თვითონ მარშალი დ. ნიჟარაძე, ხოლო როდესაც ის რომელიმე შემთხვევით არ იქნება თბილისში, მის მაგიერ ხსენებულ მმართველობაში მონაწილეობას მიიღებს ალექსანდრე სამსონის ძე ასათიანი.

✦ **ქართველ ნავთის მრეწველთა საზოგადოება.** ბაქოში დაარსდა ლ. მამულაიშვილის მეთაურობით ქართველ ნავთის-მრეწველთა სააქციონერო, საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა—5000000 მანეთი 50000 აქციად არის დაყოფილი, თითო 100 მ. საზოგადოების მიზანია ნავთის მადნების შეძენა და ექსპლოატაცია. ჯერ გაუნაწილებელ აქციებზე წინასწარი ხელის მოწერა მიიღება შეღავათიან პირობებში ამ წლის 10 მაისამდე 1) ბაქოში ნავთის-მრეწველ ქართველთა ამხანაგობის კანტორაში (ვორონცოვის ქ. სახლი № 4. 2. ქ. თბილისში ამიერ-კავკასიის ბანკის გამგეობასთან (ლორიის მელიქოვის ქუჩა თბილისის თავად-აზნაურთა სახლი). ხელის მოწერა ფოსტითაც და დეპეშითაც შეიძლება, ხოლო ასეთ შემთხვევაში თითო აქციაზე უნდა გაიგზავნოს 10 მ.

✦ **ქუთ. მომხდარ უწესოების გამო.** ქუთ. აღმასრ. კომიტეტის ერთმა ჯგუფმა აღმასრულებელ კომიტეტში პროტესტი განაცხადა იმ უწესოების გამო, რომელსაც 29 აპრილს ქუთაისში ჰქონდა ადგილი. ხსენებული ჯგუფი აღნიშნავს, რომ დღეს საერთო თავისუფლების დროს იდევნება ფედერალისტთა პარტია, ბრბომ დაარბია რევოლუციურ პარტიის საბჭო და ჩამოჰგლიჯა დროშა. უწესოებამ საერთო ხასიათი მიიღო და მთელი ქალაქის მცხოვრებნი შიშში ჩაავდო. ასეთ მოვლენასთან რადიკალურად ბრძოლა მხოლოდ აღმასრულებელ კომიტეტს შეეძლო. ჩვენ გვიკვირს, რომ ეს, მთელი ხალხის ნდობით აღჭურვილი ორგანო სდუმს და ცხოვრების მშვიდობიანობის დასაცავად რადიკალურ ზომებს არ მიმართავს. პროტესტანტთა ჯგუფი, რომ, რადგან იგი აღმასრულებელ კომიტეტში უმცირესობას წარმოადგენს, მთელ პასუხის-მგებლობას აკისრებს იმ კომპაკტურ, რკინის დისციპლინით შეზღუდულ უმრავლესობას, რომელიც წარმოადგენს კომიტეტში არსებითად ფაქტიურს გარდამწყვეტს ყოველგვარი საქმეებისას. ამ უმრავლესობამ უნდა

მიიღოს თავის თავზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მომავალ საქმეთა ვითარებისა, რადგან მხოლოდ მას შეუძლია, ძირში აღმოფხვრას და მოსპოს მოსალოდნელი უბედურება.

◆ **ქართული ახალი ჟურნ. გაზეთები.** გამოვიდა პირველი ნომერი ქართველ მხედართა გაზეთისა „ჯარის კაცი", ქართ. ავტ. სოც.-დემ. ორგანო „ალიონი" № 2, „ხალხის თავისუფლება" და ჟურნ. „სხივი" ირეთელის რედაქტორობით.

◆ **შაქარი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს მიწადმოქმედების მინისტრი, რომ შაქარი საერთოდ ცოტაა და სანამ ახლად დამზადდებოდეს, ყაირათი გასწიეთო. თბილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის მიმდინარე მაისში კომიტეტს მზად აქვს 45,000 ფუთი შაქარი, რაიც იმ ნორმას უდრის, რომელიც შემუშავებულია კომიტეტის მიერ.

◆ **სოც-ფედერალისტთა** პარტიის კონფერენცია გაიხსნა მაისს 7-ს, დილის 10 საათზე, „ახალ კლუბი"-ს დარბაზში.

◆ **„ხე თავისუფლებისა".** სკულპტორმა ი. ნიკოლაძემ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ მსგავსად ევროპის ქვეყნებისა, თბილისშიაც დარგულ იქმნას „ხე თავისუფლებისა". ამ საკითხის გამო თათბირი ჰქონდათ გამგეობის წევრებს, მებაღეთა თანადასწრებით, და გადასწყვიტეს შემოდგომაზე დარგონ ერევნის მოედანზე ასეთი ხე.

◆ **გლეხთა ყრილობის მოსაწვევად** და კავშირების მოსაწყობად მუშათა საბჭომ საჭიროდ სცნო, დაარსდეს საგანგებო საბჭო, რომელშიაც შევლენ სამ-სამი წარმომადგენელი პოლიტიკურ პარტიებისა, სამეურნეო საზოგადოებათა, კოოპერატივებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებებისა.

◆ **დააპატიმრეს** როსტოვში, თანახმად თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსად ნამყოფი გენ.-ლეიტ. ლ. მ. ბოლხოვიტინოვი.

◆ **განსაკუთრებულმა კავკასიის კომიტეტმა** ერევნიდან მიიღო შემდეგი დეპეში: ხშირი ხასიათი მიიღო მიწებისა და წყლის ხელში ძალადობით ჩაგდებამ. ქურთები სცილდებიან საზღვარს, ეცემიან მშვიდობიან მცხოვრებთ და მიჰყავთ ნახირი. ზოგ ადგილებში მიმოსვლა სავსებით შეწყვეტილია. მილიცია უძლურია. საჭიროა ჯარი, რომელმაც უნდა დაიცვას წესიერება და მცხოვრებთა მშვიდობიანობა. სწორეთ ამისთანა დროს წაიყვანეს ერევნის გარნიზონი ფრონტზე. ამიტომ ვითხოვთ გამოიგზავნოს ათასი ჯარისკაცი, რომელთაც მიეცეს წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვის უფლება.

◆ **ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის** მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობა გაიხსნა მაისის 5-ს, საღამოს 5 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ჯაფაროვი, ა. ჩხენკელი და ნ. ჟორდანია. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექ. მამულია.

◆ ბ-ნმა გრ. **გველესიანმა** ფედერალისტების პარტიის სახელით აღმასრულებელ კომიტეტში მოითხოვა, რომ ზომები იქმნეს მიღებული ფედერალისტთა პარტიის თავისუფალ მოქმედების უზრუნველსაყოფელად. აღმასრულებელმა კომიტეტმა გრ. გველესიანს უპასუხა, რომ ჯერ-ჯერობით ფედერალისტთა პარტია უნდა დაკმაყოფილდეს იმ ზომებს, რომელიც უკვე მიიღო აღმასრულებელმა კომიტეტმა.

◆ **რკინის გზის სადგურზე** 8 მაისს რამდენიმე ფუთი შაქარი დააკავეს, რომელიც სხვა პირებს ქალაქიდან გაჰქონდათ, შაქარი სასურსათო კომიტეტს გადაეცა.

**კვირას** 7 მაისს ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს დარბაზში მოხდა ქუთაისის ყველა უბნის სასურსათო კომიტეტის წევრთა კრება. კრებაზე მოხსენება წაიკითხა სასურსათო კომიტეტის წევრმა ა. ჯაფარიძემ, სურსათ-სანოვაგის საქმის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. კრებამ ყოველ უბნიდან ორ-ორი კაცი აირჩია.

**სამთო უბნის სასურსათო კომიტეტის კრება.** ამავე დღეს რეალ სასწავლებლის დარბაზში იარ. გძელიძის თავმჯდომარეობით მოხდა სამთო უბნის სასურსათო კომიტეტის კრება. კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: აირჩიეს ქალაქის ყოველ კუთხიდან ცალკე კაცები, რომელთაც ევალებათ სავაჭროების და კერძო ბინების მეთვალყურეობა, რომ ქალაქში სურსათი არ იქმნეს გადამალული; შემოღებულ იქმნას ბარათები რომელზეც უნდა აღინიშნოს სავაჭროებში გაყიდული საქონლის კვირეული ანგარიში, გამოირკვას თუ რამდენი სანოვაგეა საჭირო ხსენებულ უბნის მცხოვრებთათვის; დაევალა კომიტეტის წევრთ თვალ ყური ადევნონ საფიჩხიაზე და გელათის ქუჩაზე, რომ სოფლიდან ნედლ სანოვაგის შემომტანთ არ ხვდებოდეს ჩარჩი გადამყიდველები; იქნეს აღძრული შუამდგომლობა, რომ მოისპოს მეორე ხელიდან ყიდვა საქონლისა და მოეთხოვოს ვაჭართ დაუკლონ ნიხრის მიხედვით ფართლეულობაზე და ყოველი ქალაქის სასურსათო მაღაზიაში დაინიშნოს კომიტეტის წევრი მეთვალყურედ. შემდეგ მოხდა არჩევნები და ქალაქის სასურსათო კომიტეტში აირჩიეს ამხ. გძელიძე და კაკაბაძე.

◆ ქუთაისის მოვაჭრემ ან. ხეცურიანმა მიიღო პირველ ხარისხის მარილი, რომელსაც ჰყიდის ფუთს ექვს აბაზად.

### თბილისი.

◆ **სამხედრო მატარებლების უპირატესობა.** რკინის გზაზე ამ ჟამად დიდი მოძრაობაა. მრავალი სალდათი სახლში მიდის. მატარებლებზე უადგილობის გამო ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველმა შემდეგი განკარგულება გამოსცა: „მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაშორებლად, მოვუწოდებ რკინის გზაზე მოსამსახურეთ არავითარი კამათი არ გამართონ სალდათებთან. სალდათების მატარებელს უპირატესობა მიეცეს სხვა სამგზავრო მატარებლებთან".

◆ **შაბიამანი და გოგირდი.** თბილისის მეღვინეობის და მევენახეობის საგუბერნიოს კომიტეტმა სერგიევის ქუჩაზე № 3 სამკურნალო ნივთების საწყობი გახსნა. ამ საწყობიდან აპრილის განმავლობაში მარტო შაბიამანი 86 ათასი მან. გაიყიდა. საწყობში ყოველივე სამკურნალო მასალა ბლომად იშოვება. საწყობი ღიაა. დილის 8—3 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საოლქო სიეზდი.** 5 მაისს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სიეზდი. ჯერ ჯერობით ჩამოსულია 50 დელეგატი.

◆ **ლადო დარჩიაშვილის** ქვრივმა ელენემ ყველა დაუბეჭდავი ნაწერები თავისი ქმრისა, გაზ. „ალიონი"-ს რედაქციას გადასცა.

◆ **კავკასიის სტატისტიკოსთა ყრილობა** ტფილისში დაიწყება 12 მაისს მომავალ აღწერასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად.

◆ **ფქვილი** ტფილისში ძალიან ცოტა შემოდის, თუმცა მიღებულია ყოველგვარი ღონისძიებანი.

### პროვინცია.

◆ **ბათუმში შესვლის აკრძალვა.** კავკასიის მთავარ სარდლის განკარგულებით კავკასიის შტაბის ნებადაურთველად ბათუმში შესვლა აკრძალულია.

◆ **ს. მექვენა,** ლეჩხ. მ. 5 მაისს ს. მექვენაში მოხდა კომისარების და კომიტეტების არჩევა, რამაც უკანონოდ ჩაიარა. ხალხი პროგრამებს გაუცნობელი იყო, ქალებს კენჭი არ არგუნეს და კენჭის ყრაში სრულებით მონაწილეობა არ მიაღებიეს; გარდა ამისა სამ კაცს ერთი და იგივე რიცხვი კენჭისა ხვდათ. ამოირჩიეს ისეთი პირები, რომლებმაც ხელის მოწერაც არ იციან. უკეთესია არჩევნები ხელ-მეორეთ დაინიშნოს.

◆ ამავე სოფელში 3-მაისს დადაღეს აქაური გლეხის ქალი კიბორძალიძისა, რომელსაც კუდიანობა ბრალდებოდა. ახლო მეზობელს, რომელიც ავათ იყო, ეთქვა; თუ იმ ქალს დადაღავთ მე მოვრჩებიო. მართლაც, ეს ავადმყოფი ქალი დადაღვის შემდეგ ფეხზე ამდგარა... ასეთ ცრუმორწმუნეობას და შეიძლება ბოროტ-მოქმედებასაც, ბოლო მოეღოს.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**„ჩვენი ქვეყნის" დეპეში.**

**ფოთი,** 6 მაისი. ხუთშაბათს საღამოს შესდგა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება მოხსენება წაიკითხეს პოლიტიკურ საკითხზე ალ. თორაძემ, ეკონომიურზე ტრ. ჯაფარიძემ, ხოლო ავტოკეფალიის შესახებ იპ. ვართაგავამ და მელ. კელენჯერიძემ. მოხსენებებს კრება აღტაცებით შეეგება. გადაწყვეტილია კლუბის გახსნა.

## ეროვნული კითხვა.

**სომეხთა ყრილობა.**

„მშაკი" სწერს: აუცილებლად საჭიროა ყველა პარტიის შეთანხმება და ეროვნული საკითხის ისე წამოყენება. ამიერ-კავკასიის სომხეთის საკითხშიაც უეჭველად უნდა მოხდეს შეთანხმება მეზობელ ერებთან, რათა წინდაწინვე იყოს გადაწყვეტილი ის საგნები, რომელიც დამფუძნებელ კრებაზე იქნება წამოყენებული, ხოლო ამისათვის უფრო მეტად საჭიროა ხსენებული საკითხები განხილულ იქმნეს სრულიად რუსეთის სომეხთა ყრილობაზედ ერევანში, სადაც არჩეული იქნება ცენტრალური საბჭო რომელიც მთელი ერის საქმეებს უხელმძღვანელებს.

**საქართველოს ავტონომია და ჯარისკაცები**

სოფ. შემოქმედში დიდი მიტინგი გაიმართა. დაესწრო ბევრი რუსის ჯარისკაცი. მრავალმა მათგანმა ილაპარაკა. ყველა თავის სიტყვას აბოლოებდა: გაუმარჯოს თავისუფალ ავტონომიურ საქართველოსო! ხალხი ტაშით აჯილდოებდა ორატორებს.

(„ალიონი")

**მთიელთა ყრილობის სალამი.**

**კავკავი.** მაისის 5. კავკაველ მთიელთა შეერთებულ ყრილობამ თავის საისტორიო დღეს ძმური სალამი უძღვნა კეთილშობილ ქართველ ხალხს და მზად არის ხელ-ჩაკიდებული გაჰყვეს მას კავკასიის დემოკრატიულ და ფედერატიულ საფუძვლებზე მოსაწყობად.

ყრილობის თავმჯდომარე **მახანოვი.**

„საქ."

## ზავის გარშემო.

**გერმანელთა ზავის პროგრამა.**

ლოზანში ამას წინედ გრუმბაჰის კრებული „ბას ალექსიო ნიშე ბუტმიანდე" გამოვიდა. ამ საინტერესო კრებულში მოთავსებულია რუსეთისათვის ერთი სრულიად უცნობი დოკუმენტი. ეს არის გერმანულ ზავის პროგრამა, შემუშავებული გერმანელ მწერლის ა. ოლტცელტ-მევენის მიერ და მოთავსებული მის საგულისხმიერო შრომაში: „როგორ უნდა დაისაჯნენ მსოფლიო ომის დამნაშავენი?".

„რუსეთი თუნდ სასტიკადაც, რომ დავამარცხოთ, მას ისეთი შურისძიების სურვილი მოედება, რომ ჩვენ იარაღს ვერ ავიყრით. იძულებულნი ვიქნებით იმ არასასიამოვნო ლოზუნგს ვუერთგულოთ, რომელიც გვეუბნება—ომისათვის მზად იყავითო. ასე იქნება მუდამ, თუ არ ვეცდებით და რუსეთს სახელმწიფოებზე ყოველივე გავლენას არ მოვუსპობთ. რუსეთს ბალკანეთზე და მაშასადამე ხმელთაშუა ზღვაზედაც ჰსურს იბატონოს. ამიტომ, სამშვიდობო პირობების უმთავრესი მუხლი ის უნდა იყოს, რომ რუსეთს აზიურ სახელმწიფოს ხასიათი შერჩეს და დიდი სახელმწიფოს მისი ძლიერება უნდა მოისპოს. ამას კი მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ, თუ რუსეთს აღმოსავლეთის იმ ნაწილებს ჩამოვაცლით, რომლებიც კულტურისა და სიმდიდრის მხრივ უძვირფასესნი არიან.

ამას გარდა იგი ევროპის ყველა ზღვას უნდა მოვაშოროთ (თეთრი ზღვის გარდა). ამ უკანასკნელ პირობას კი, მხოლოდ ხელ შეკრულების ძალით ვერ შევასრულებთ. ის საზღვარი, რაც გერმანიამ რუსეთს უნდა დაუთმოს დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: საზღვრის ხაზი უნდა დაიწყოს კრონშტატიდან, გადაიაროს ბრეს ლიტოვსკსა და ტაგანროგზე და ბაქოში უნდა ჩავიდეს. ამაში, რასაკვირველია, ფინეთიც უნდა მოჰყვეს. ამ რიგად ჩვენ უნდა მოვთხოვოთ რუსეთს მოსპოს ციხეები, მეტადრე საზღვაო და ხელი აიღოს: ფინეთზე, ესტლიანდიაზე, კურლიანდიაზე, ბესარაბიაზე, კავკასიაზე, თავრიდის ნახევარ კუნძულზე, უკრაინის და სამხრე რუსეთის ნაწილებზე.

ეს პროვინციები რუსეთის ტერიტორიის ერთს მეხუთედს შეადგენს, მაგრამ მის მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეიცავს. ეს ნაწილი საუკეთესო და უმდიდრესი ნაწილია რუსეთისა.

## უკანასკნელი ამბები.

ყირიმში მყოფ მარიამ თევდორეს ასულის და მთლად სამეფო საგვარეულოს დაცვის მეთვალყურედ დანიშნულია ფლოტის პრაპორშჩიკი ჟორჟოლიანი.

„რეჩი" არჩევს ახალ მთავრობის პროგრამას და ამბობს, რომ ამ პროგრამაში ისეთი საერთო დებულებანია, რომ ადამიანს შეუძლიან მათ ყოველნაირი აზრი მისცესო. ამ პროგრამის ახალსა და ძველს მხოლოდ მთავრობის მოქმედებანი აშკარავებენ. ახალია მაგ. ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, დაპირება, რომ ანარქიას, უსამართლობას და ძალადობას ვებრძვითო, ესეც ახალია. გაზეთს იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა თავის პროგრამის დებულებათა საშუალებით ლაშქარს გაამხნევებს. რუსეთმა მხარი უნდა მისცეს ახალ მთავრობას, რომ მას მართალი—და ძალა ჰქონდესო.

—

ჯარის კაცებმა მცენსკის მაზრაში შერემეტიევის მამული აიკლეს. ზარალი ორ მილიონ ნახევარს აღწევს. მამულებს 20,000 ჯარის კაცი შეესია და აოხრების შემდეგ მთვრალები ნაძარცვ ნადავლით მცენსკში დაბრუნდნენ.

—

ბრუსილოვის და გურკოს გასვლის ხმები გაუგებრობაა და სინამდვილეს მოკლებული, აგრეთვე ხმები მე-20-ე საკორპუსო კომანდირის და ჯარის სხვა უფროსთა წასვლის შესახებ.

## მოწერილი ამბები

**დერჩის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა. (ლეჩხუმის მაზრა).**

5 მაისს მოხდა დერჩის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა. თავმჯდომარეთ ერთ ხმით იქნა არჩეული იასონ ახვლედიანი (სოც. ფედ.) მისი პირველი მოწოდება იყო რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნის პატივისცემა ქუდების მოხდით; მეორე—მისალმება ციმბირიდან ეხლა ჩამოსულ პოლიტიკურ დამნაშავეს, სქენეფონტე მიქაუტაძეს. კრებას დაესწრნენ ქუთაისიდან მოსრული პარტიების წარმომადგენლები, სოც. ფედერალისტები და სოც. დემოკრატებიც. ილაპარაკეს ორივე მხარეებმა მხოლოდ არჩევნების შესახებ, რადგანაც პარტიებზედ ლაპარაკის დრო არ იყო ერთი და მეორე კი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ხალხში გაისმოდა ხმა პარტიების სახელი არავინ ახსენოსო. დაესწრო 388 კაცი, სადაც მცხოვრებთა რიცხვი თითქმის 6,400 უდრის. არჩევა მოხდა ფარული კენჭის ყრით. პირველად ხალხმა ძალიან იუცხოვა ფარული კენჭის ყრა, რადგანაც ყუთებში კენჭის ჩაგდებას არ იყო ჩვეული, მაგრამ თავმჯდომარეს ბევრის ახსნის შემდეგ ხალხი დასთამხდა. აირჩიეს 11 კაცი და სამი კანდიდატი. ქალებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიაღებიეს. სამ პირს ერთნაირი კენჭი ხვდა; ამათგან შემდეგ ერთი აირჩიეს ზეპირად, კენჭის უყრელად. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ არჩევნები უკანონო იყო: ერთი მიტომ, რომ ხალხი ერთი მეოთხედიც არ დასწრებია; მეორე მიტომ რომ ქალებს მონაწილეობა არ მიაღებიეს. მესამე მიტომ, რომ ხალხი სრულიადაც არ არის პარტიებს გაცნობილი, და მეოთხე მიტომ, რომ სამ პირს კენჭი ერთნაირად ხვდა და მათთვის კენჭი არავის უყრია ხელმეორედ.

დღნორისელი.

**დ. ახალ-სენაკი.**

კვირას 7 მაისს. მოხდა ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები. ეს არჩევნები 7 მაისისთვის იყო გადადებული რადგან წინა კვირას დანიშნულმა არჩევნებმა პარტიული შეუთანხმებლობისა გამო სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ხოლო 7 მაისის არჩევნებისათვის საკმაო ღონისძიება იქმნა მიღებული პარტიული ჟინიანობის თავიდან ასაცილებლად. ჯერ მოხდა მცხოვრებთა წინასწარი კრება. ამ კრებაზე ყველა პარტიის წარმომადგენლნი შეთანხმებაზე ლაპარაკობდენ მათი წინადადებით კრებამ აირჩია საგანგებო კომისია რომელსაც შეთანხმებულ პარტიულ სიის შედგენა დაევალა. სამწუხაროდ კომისიის წევრთა შორის სრულ სოლიდარობა ვერ დამყარდა. ს. დ. ჯგუფის წარმომადგენელმა წარადგინა წინასწარ დამზადებული სია და ამ სიის გაყვანა ითხოვდა. კომისია ცხადად არ დაეთანხმა ასეთ წესს და იმ ჯგუფის წარმომადგენლებმაც სხდომა მიატოვეს. მიუხედავათ ამისა კომისიამ იმსჯელა და ყველა მის უფლების ქვეშ ყოფილი საკითხი გადასწყვიტა.

ამის შემდეგ კიდევ მოხდა პარტიათა წარმომადგენლების კერძო თათბირი და საბოლოოდ შესდგა 37 წევრისაგან შემდგარი სია, სადაც ყოველი პარტიიდან შედიოდენ პირები შემდეგის მეტნაკლებობით: სოც. რევ. 2 კაცი, სოც. ფედ.-6, ერ. დემ.—10, ხოლო სოც. დემ. 19. (სოც. დემ. სიაში შედიან „ნეიტრალი", მაგრამ მოსოციალ-დემოკრატ. პირებიც.)

7 მაისის კრებაზე ხალხს გააცნეს შეთანხმების [illegible] რომელიც წაკითხულ იქნა ასეთ შეთანხმების [illegible] კერძო პირებს, [illegible] შეთანხმებული [illegible]ას. ეს წინადადება ზოგიერთი პირის გამოკლებით მთელმა კრებამ მიიღო; შემდეგ იყო სწრაფი სხდომა პარტიის წარმომადგენელთა, სადაც ხმოსნების სიიდან გამოჰყვეს მათი კანდიდატები. ხმოსანთა რიცხვად მიიღეს 34 კაცი. ხოლო 3 კაცი კანდიდატებათ დასთმეს 2 სოციალ დემოკრატებმა და 1-იც ეროვნულ დემოკრატებმა. ერთი სადასტურო ყუთი დაიდგა არჩევანი ამ რიგად მეტად მშვიდობიანი და თანხმობითი ხასიათისა იყო. დათვლის შემდეგ სიის სასარგებლოდ აღმოჩნდა 439 თეთრი დამხოლოდ 59 შავი კენჭი ხმოსანთა რიცხვი სიის სრულ დაცვით გავიდა.

მომავალ თვითმართველობას სენაკში ბევრი რამა აქვს გასაკეთებელი. თავიც რომ დავანებოთ შინაურ საქალაქო საქმეებს ასეთ რღვევა-შენების ჟამს დიდი საპასუხისმგებლო როლი უწევს მას კისერზე. ერთი ჯგუფის შენებას გვპირდება ქალაქის თვითმართველობაში თავის მონაწილეობით ჩვენც მხნეობისა გარჯის მეტს არას უსურვებთ.

ვინმე.

**სინოდის ობერპროკურორს.**

იმერეთის ეპარქიის ვანის სამღვდელოებამ იქონია მსჯელობა თავის მშობლიურ ეკლესიის ავტოკეფალობის იმ ფორმაზე, რომელსაც იძლევა დროებითი მთავრობა, საჭიროდ სცნო ამით განაცხადოს, რომ იგი თანახმად მთელი მართლმადიდებელი საქართველოს სურვილისა, თანახმად ისტორიისა და საეკლესიო კანონებისა, მხარს უჭერს ივერიის ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალობას და იმედი აქვს, რომ დროებითი მთავრობა, რომელმაც აღიარა სინიდისის თავისუფლება, დაამშვიდებს ჩვენს სინიდისსაც იმით, რომ რომ სცნობს ჩვენი ეკკლესიის კანონიერ უფლებას ტერიტორიულ ავტოკეფალობაზე, რომლითაც იგი სარგებლობდა უწინარეს რუსეთის სინოდის დამორჩილებისა. ამასთანავე ეჭვი არ გვეპარება, რომ ავტოკეფალური ივერიის ეკლესია მიიღებს იმ საეკლესიო მამულების ნაცვლად, რომლებიც 1859 და 1871 წლებში გადავიდა ხაზინის ხელში.

თავმჯდომარე მღ. ს. მჭედლიძე.

## აღმასრულებელი კომიტეტის საყურადღებოთ.

**არჩევნები სოფლათ.**

ყოველ საზოგადოებაში ჩვეულებრივათ შედის 4—6 სოფელი. ხშირათ ეს სოფლები ისე დაშორებულია ერთი მეორეზე, რომ ერთი სოფლის კაცი მეორისას იშვიათათ შეხვდება სადმე, ამიტომ ვერც იცნობენ კარგათ ერთმანეთს არჩევნების დროს. მთელი ეს ექვსი სოფელი იყრის თავს კანცელარიაზე, რომელიც ხშირათ ყოველ სოფლიდან 4 ან 5 ვერსის მანძილზეა. აქ ხდება საზოგადოების კომიტეტის არჩევნები. არჩევნები ხდება შემდეგი წესით. აქ მოდის ქალაქიდან ყველა, ვისაც ენა ექავება და ქალაქში ვერ იჩენს თავის მჭერ-მეტყველობას. სოფლელები დგანან მინდორში სიცხეში, ორატორები კანცელარიის აივანში ჩრდილში. კრება იწყება არა საქმით, არამედ საზეიმო სიტყვებით. ორატორები მჭერმეტყველობენ სიტყვებს ათამაშებენ და ხალხს დროს აკარგვინებენ. ზოგი მათგანი, რომ აჩვენოს რომ ის ხალხის პარტია, მოყვება თავის ბიოგრაფიას, მე ცივი მჭადით გავიზარდე კოლხში ფეხშიშველა დავიარებოდი, მე თქვენი ხმა თქვენი ამხანაგი ვარო და" სხვა. საცოდავი გლეხები დგანან სიცხეში ფეხზე ორი ამი საათი, ზოგს მოსწყინდება ორატორთა ფართე ფართე სიტყვები და კრებას ტოვებს. გლეხი ბრაზდება, ბიჭო ამისთვის გამაცდინეს ამ ოჯახ დასაქცევმა და ამისთვის მწვავენ ამ სიცხეშიო? შემდეგ, როცა ლაპარაკი მოწყინდებათ, გამოუცხადებენ გლეხებს, დღეს თქვენ იმიტომ დაგიბარეთ რომ კომიტეტი აირჩიოთო. არჩევნებს იწყებენ: აქ თავს იჩენს სხ. და სხ. პარტიები და ას-

ტეხენ ერთ უბედურებას. გლეხი გაკვირვებულია და თან ბრაზდება. ფიქრობს, ესენი რომ ვერ შეთანხმებულან და ერთმანეთს გლეჯენ ჩვენს მეთაურობას როგორ შეძლებენო

დაიწყება კანდიდატების სიის შედგენა. გლეხები იძახის ივანეს. მდივანი წერს პეტრე'ს მიტომ, რომ ივანე არაა „მუშათა პარტია". ეკითხებიან ერთ სოფელს, უპასუხებს მეორე სოფელი; თავის კანდიდატებს. აყენებს ერთი სოფელი, „არ გვინდაო" ყვირის მეორე სოფელი. გლეხებში არეულობაა, მეთაურებში უარესია. გლეხს თავი უსკდება სიცხეში, არ იცის, რას იძახის გამწარებული. თითო სოფელი 7 კანდიდატს აყენებს. იწყება კენჭის ყრა. ზოგს მოწყინდა ყიჟინი, დაიქანცა, მოშივდა და გაუდგა გზას. გლეხებს ეუბნებიან, აქ ამ სიაში მოყვენ მუშათა პარტიის გარდა სხვა პარტიის კაცებიო. თქვენ კი კენჭი უნდა გაუთეთროთ მუშათა პარტიასო. აქაც იწყება არეულობა. ყოველი პარტია მუშათა პარტიობას იჩემებს, და ერთმანეთს ეჯახებიან. გლეხებს გული მოსდის და კრება იშლება, რჩებიან ენა ქავილა ორატორები. ამათ რა ენაღვლებათ? საბრალო გლეხებს კი ერთი დღე კიდევ უნდა გაუცდეთ.

ეს მოვლენა ყურადღების ღირსია ამას ყური უნდა ათხოვოს ქ. ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა, თუ უნდა, რომ არჩევნები კეთილ-სასურველათ ჩატარდეს და სოფლის გლეხობასაც ზარალი არ მოუვიდეს.

ჩემის აზრით, უკეთესი იქნებოდა არჩევნები შემდეგი წესით მომხდარიყო სოფლათ.

1) არჩევნები უნდა ხდებოდეს უქმე დღეებში;

2) არ უნდა მიდიოდეს სოფლათ ქალაქიდან უცხო ხალხი არჩევნებზე სალაპარაკოთ გარდა ადგილობრივი ინტელიგენტისა, რომელსაც ხმა აქვს არჩევნებში.

3) აღმასრულებელი კომიტეტი უნდა ცდილობდეს დანიშნოს ამა თუ იმ საზოგადოებაში კომიტეტის არჩევნების ხელმძღვანელათ იმავე სოფლის მკვიდრი ინტელიგენტი ასევე უნდა იქცეოდეს ამა თუ იმ პარტიის კომიტეტიც.

4) სასურველია მთელი ექვსი სოფლის ყრილობა არ ხდებოდეს ერთათ არამედ ყოველი სოფელი ირჩევდეს თავის მხრით კომიტეტის წევრთ თავის სოფელშივე და რადგანაც ა) ეძნელებათ სოფლელებს კანცელარიაზე მისვლა ბ) კანცელარიაზე იყრის თავს დიდძალი ხალხი სხვადასხვა სოფლიდან და ამდენ ხალხში წესიერათ არჩევნების ჩატარება შეუძლებელი ხდება; გ) უკვე ვთქვით, რომ ერთი მეორედან სიშორის გამო ერთი სოფ ლის გლეხი ვერ იცნობს კარგათ მეორე სოფ. გლეხს. ერთი სოფლიდან წამოყენებულ კანდიტატებს უნდა მისცენ კენჭი მეორე სოფ. გლეხებმა, რომელნიც ან სრულიად ვერ იცნობენ კანდიდატს ანდა ცოტათი იცნობენ და ასეთი უცნობი პირის არჩევნის პასუხისმგებლობა მთელ საზოგადოებას ედება, რაც არა კანონიერათ მიმაჩნია ჩემის აზრით, დ) რადგანაც ქალებსაც მიეცათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მათაც საშუალება ეძლევათ თუ კი თავ-თავის სოფელში მოხდება არჩევნები მონაწილეობა მიიღონ.

5) ყოველი სოფელი კომიტეტის წევრის არჩევის შემდეგ უნდა ირჩევდეს 5 კაცს. არჩეულ კომიტეტის წევრებს წაიყვანს ეს 5 კაცი ერთ ყველა სოფლებისათვის დანიშნულ დღეს სასოფ. კანცელარიაზე და გადაცემენ გუბერნიის კომიტეტის მიერ გაგზავნილ ხელმძღვანელს და დაუმოწმებენ, რომ ამა და ამ სოფლიდან ავირჩიეთ ეს კაცებიო. თუ ასე მოვიქცევით, ყველა იმ არა სასურველ შედეგებს., რომელიც მოყვება ხოლმე კანცელარიაზე მრავალრიცხოვან ყრილობას, თავიდან ავიცილებთ და არც გლეხებს-შორის შუღლსა და სიძულვილს ჩამოვაგდებთ.

თუ ამ პირობებში არჩევნები რაიმე მოსაზრებით მოუხერხებელი იქნება და აუცილებელი იქნება მთელი ყრილობის მოწვევა, მაშინ ასე მაინც მოიქცენ, რომ ყოველი სოფლის გლეხთა შორის არსებული პარტიები თავიანთ სოფელშივე შეთანხმდენ და შეთანხმებულათ კანდიტატები წამოაყენონ საერთო ყრილობაზე, რომ იქ ერთი აზრით წარსდგეს ყოველი სოფელი.

Elisse.

## შეუგნებლობა.

ძველებური ქართველური ლხინი ყველასათვის მოსაწონი იყო. ჩვენი წინაპრების ლხინსა და ქეიფზე არამც თუ კაცის კვლასა და დასახიჩრებას არ ჰქონებია ადგილი, უბრალო აყალ მაყალიც იშვიათი მოვლენა იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ბევრი სხვა რამ, ისე ჩვენებური ლხინი და დროს გატარებაც შეიცვალა. დღევანდელი ქართველი ლხინის გემოს ღვინის სმასა, ხანჯალ-ლეკურის ტრიალსა და დამბაჩა-რევოლვერების დაცლა-გატენაში ხედავს. ასეთ დროს გატარებას, რომ ხშირად უბედურება არ მოყვებოდეს ხოლმე, კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ასეთ ლხინსა და დროს გატარებას ყოველთვის უბედურება თან სდევს. ერთი ასეთი შემაძრუწუნებელი და გულის მომ ზვლელი ამბავი ამ დღეებში ს. უკანეთში დატრიალდა. სამს მაისს გლეხმა ავაკი გორგიძემ თავის ახლად დაქორწილებული სიძე ქალიშვილი მოიპატიჟა თბილისიდან და ლხინი გამართა. ნასადილევს ღვინით შექეიფიანებული სტუმრები ეზოში გამოვიდნენ. ახალგაზდა კოპწია სიძე აბა რის სიძე იქნებოდა, თუ თავს რითიმე არ გამოიჩენდა. ამოიღო რევოლვერი და იქაურობას კორიანტელი აადინა. ცოლმა თავხედ „მკლავაძეს" ასეთი საქციელი არ მოუწონა და რევოლვერზე ხელი დაუდო, რომ მეტი აღარ გაესროლა, ამ დროს რევოლვერი პირდაპირ სისწორით გავარდა და მესამე ეზოში ერთი საწყალ ახალგაზდა ქალს მოხვდა ტყვია პირდაპირ მუცელში, საბრალო ეს ქალი თავის ოჯახურ საქმეებში იყო გართული, ჭიდან წყალს იღებდა და საქონელს ასმევდა. ჩვენი „რაინდის" მსხვერპლი მეორე დღეს გარდაიცვალა. მას დარჩა სამი თვის უსუსური ძუძუ მწოვარი ბავში. უბადრუკმა მაკლაკაძემ ორ არსებას მოუსპო სიცოცხლე. სოფლელები ამ შემთხვევას წერით ხსნიან. ნაცვლად იმისა, რომ თვალები გამოახილონ, დასაგმობი დაგმონ, მოსპონ და თავიდან მოიშორონ. ისინი იმას გაიძახიან, რომ იმის წერა ყოფილა და რევოლვერის ბოროტათ მომხმარებელი არაფერ შუაშიაო. რეგვენი საქმეს წაახთენს, ფათერაკს დააბრალებსო, რომ იტყვიან, სწორედ იმათზე ითქმის. ნეტავი ვიცოდე, როდის უნდა შეიგნონ ჩვენი ქვეყნის სოფლის მცხოვრებლებმა; „ღმერთმა მაღლიდან გადმოიხედა და ასე სთქვა ქვეყანაზე ბევრი ჩემი უნებური მკვდარი არისო."

მ. ბუაჩიძე.

## მოწოდება

**სრულიად საქართველოს საშუალო სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლებს.**

ამხანაგო მასწავლებელნო!

დადგა დრო საქართველოს სკოლების განახლებისა. თუ რამე სიყვარული, ცოდნა და გამოცდილება გვაქვს, ჩვენ უნდა მოვახმაროთ ამ განახლებას და შეერთებულის ძალით შევქმნათ ისეთი პირობები სკოლის ცხოვრებისა, რომ მან მოგვცეს ღირსეული მოქალაქენი და მამულიშვილნი.

როგორც მოგეხსენებათ, დღევანდლამდე გარემოება ხელს არ გვიწყობდა ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზე მოგვეწყო მომავალ თაობის აღზრდის საქმე და ამიტომ მოუმზადებელნიც შეხვდით ამ დიად ჟამს საქართველოს განახლებისას. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ დაუღალავი შრომა ქართველ მასწავლებელთა და მათი ერთგულება საქმისადმი, მალე გამოასწორებს ამ ჩვენს ნაკლს. ამიტომ ჩვენ ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის ქართველ მასწავლებელთა კრებულმა დავაარსეთ ბიურო ზემოდ აღნიშნულ დიად საქმის მოსაწესრიგებლად თქვენის დახმარებით.

მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო, მობრძანდით ქ. ქუთაისს, ამა წლის 23 მაისს, სალამოს შვიდ საათზე, სასულიერო სასწავლებლის შენობაში მომავალი ჩვენი მოქმედების გეგმისა და სხვა პროფესიონალურ საკითხების დასამუშავებლად.

ბიუროს თავმჯდომარე ი. არსენიშვილი.
ი. ეკალაძე ცინცაძე.
ონოფრე შუშანია.
მუკოლ ბერიძე.
ალ. მგალობლიშვილი.
ან. გორგაძე.
თ. ფერაძე.
მდივანი: ფ. შავგულიძე.

## ანგარიში.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ სტუდენტთა ტრადიციულ სადამოსი, ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში 2 თებერვალს 1917 წ.

**შემოსავალი:**

შესასვლელი ბილეთებიდან 1331 მ. და 1 აბაზი; პროგრამების გაყიდვიდან 95 მ. და 2 აბაზი; ჩაის 99 მ. და 2 შაური; ლატარია-ალეგრიდან 810 მან. და 10 შაური; შამპანიურის გაყიდვიდან 20 მან; ბუფეტიდან (სარგებელი) 160 მან; შემოწირულებანი ფულით 957 მან; დარჩენილი ნივთების გაყიდვიდან 76 მან. და 3 აბაზი. სულ 3549 მან. და 4 აბაზი.

**გასავალი:**

მიეცათ კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის: გ. ნეიგაუზს და ე. გუზიკოვს 275 მან; ე. ს. სკორუპსკის 100 მან. და რ. გიტტერს 25 მან; ს. გოგიბერიძეს 5 მ. და 15 შაური (კარანდაშები და სერპენტინი); ბ. კურცხალიას 8 მ. და 10 შაური (ანონსების და აფიშების გაკვრისათვის); ძმ. მირაქოვებს 12 მ. და 17 შაური (კონვერტები და ქაღალდები); ძმ. კუზანოვებს 2 მან. (ყვავილი); საკანდიტეროებს: კოსოვსკის—1 მ. და 2 შ. (ბულკები), ძმ. ჩილინგაროვების—25 მ. (კონფეკტები) და „რეიმს"—3 მ. და 4 აბაზი (კული ჩი და „პეჩენიე"); ძმ. გოკიელი 3 მ. და 1 აბაზი (ბაწარი); ძმ. ფეიქაროვებს 2 მან. და 2 აბაზი (კონვერტები და ქაღალდები); ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ქუთაისის განყოფ. სტამბას 52 მ. (აფიშების, ანონსების და ბარათების დაბეჭვდა); მესროპოვს-„აბრეშუმი"—6 მან. (ლენტები); ონ. დადიანს 4 მ. (ტანისამოსის ქირა); არ. ავოგჯანოვს 3 მან. (აფიშების და ანონსების დარიგება); მიხ. გიორგაძეს 25 მან. (დეკორაციების ქირა); მიხ. მაჭავარიანს. 6 მ. და 90 კაპ. (ტანისამოსის ქირა), ორკესტრი 50 მან. პარიკმახერს 8 მ, ი. როინიშვილს 10 მ. (ცეკვის ხელმძღვანელობისათვის); სკამების გადატან გადმოტანა 11 მ. და 10 შაური; საფოსტო მარკები 8 მ. და 2 შაური; ლატარიის ნივთების გადატანა 4 მ. გრ. ჩარკვიანს 12 მ. და 10 შაური (სცენის მოწყობა და სხვა); დეპეშების გაგზავნა 13 მ. და 72 კ.; დროებითი გადასახადი, დაწესებული შესასვლელ ბილეთებზე 244 მან.; გ. ასათიანს 2. მ. (ლურსმანის ფასი); საზოგადო საკრებულოს 100 მან.; მის მოსამსახურეთ 10 მან; მსახურ ქალს 3 მან.: გ. ტევოსოვს 8 მ. და 2 აბაზი (ხილის ფასი) 3. ჩაკვეტაძეს 140 მან. (საპირფარეშო სტოლისათვის); როიალის გადატან-გადმოტანა 17 მ.; წვრილი ხარჯები 13 მ. და 43 კაპ. სულ 1217 მ. და 3 შაური.; წმინდა შემოსავალი დარჩა 2332 მან. და 13 შაური.

ზემოხსენებული საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ ვინც ფულით თუ ნივთებით შემწეობა აღმოუჩინა მას და აგრეთვე ყველა ამ საქმეში ხელშემწყობ პირებს და ვინც უფასოდ მონაწილეობა მიიღეს საკონცერტო და სხვა განყოფილებებში: ქ.ქ. მ. ხეჩინოვის ასულს, ს. ბეჟანიშვილს, ბ.ბ. ალ. იმედაშვილს, ალ. ყალაბეგიშვილს, პლ. კორიშელის, მ. გელოვანს, ანდ. მუროუსინეს, ვ. ბალანჩივაძეს, ბ. ახოსპირელს, ია ეკალაძეს და ე. სკორუპსკის.

სალამოს დიასახლისი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ელ. ნ. ხეჩინოვისა

(გაგრძელება იქნება)

## სია.

**იმ ჯარის კაცთა ოჯახებისა, რომელთაც დახმარება მიიღეს ქუთაისის ქალთა კომიტეტისგან.**

(გაგრძელება. იხ. ჩვ. ქვ. № 16)

1) კიკვაძე თეოფანე—10 მან 2) მიქაძე ივანე 10, 3) ბაგდავაძე ფეოდოტი 10, 4) ტრაპაიძე პორფილე 10, 5) 8 მაგნიძე ვადილ. 10 6) ფერაძე ათანასე 10, 7) მჟავანაძე იოსებ—10, 8) რუხაძე სიმონ 10 6) ლიზა გრიგრაშვილი; 10 10) კიკნაძე ამბაკო 20 11 გამრეკლიძე მარო 10, ბერაძე პეტრე 15 13) აბუძე ლაძე პასიკო 10 14) ჩიქოვანი ანნა, თოგონიძე—ტასია, 15 10) 16 ავალიანი იოსებ 20 17) პელაგია კოხაძე 15, 18) კარტოზია მაია 15 19) კორძაია დესპინე 20, 20) მარგველაშვილი ბაბილინა 20) გარუჩავა ილიკოკო, 10 23 მანჯგალაძე სევერიანე 10,24) შენგელია ალექსანდრე 10, 25 ლეკვეიშვილი ილარიონ 10 27 ვაშაკიძე ვლადიმერ 10, 26 ვაშაკიძე, ანტონ, 10 28 კოხრეიძე ლავრენტი 10, 29) ლეჟავა ალექსანდრე 10, 30) ჟორჟოლიანი ლუკა 10) 31) ძნელაძე ნ. 10, 32) მეშველიანი ალექსანდრე 10 33 შუბლაძე ბესარიონ 10, 34 კვირია მოსე 10, 35 დარსაველიძე პავლე 10 36) ლეჟავა ორიფანტე 10, 37) 38) შავრაძე გიორგი 10, 36) მელქაძე ნიკიფორე 10, 40) ვაშაკიძე ვიკტორ 10 იოსებ ვაშაკიძე 10, 41) ვაშაკიძე ერასტი 10) 43) ვაშაკიძე ივანე 10, 44) ვაშაკიძე ბესარიონ 10, 45 ბიბინეიშვილი სერაფიონ 10, 47) შუბლაძე კირილე 10, 48) მიხეილ 10, ლეჟავა იოსებ 10, მავრინიშვილი ეკატერინა 15.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. ქვირკელია.


## ექიმები:

**ბ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. ... 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სალამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. სადამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და სალამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — სალამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — სალამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


## ავი სენი

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით. სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან, რა ავამყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას, გუბს და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცილებლათ **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში **ა. ნ. შავერზაშვილის** საფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ. პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

## რუსეთის დიდი რევოლუციის სახსოვრად

ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩეევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები

1) მანეთად და 75 კაპ. გაგეგზავნებათ 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი დიდი ფორმატის 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე რუსეთის რევოლიუციის დიდედის ბრეშკო ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სენსაციურ წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი". ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიესა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი კუროპოვისა და რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეე'ის პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ. იუსუპოვის სახლში და სხვ ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати" Москва, Тихвинскiй пер., № 7 кв. 21—Д.

ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს მარკებითაც შეკვეთილი წერილითა, უბეოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები იგზავნება ფას-დაკლებით და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს მას მიეცემა 30 პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинскiй пер. № 7 кв. 21